



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ო №4

ქალაქი ბათუმი

2020 წლის 29 მაისი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს ჯ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- | | |
|----------------------|-----------------------------------------------------------------------------------------|
| თამაზ სალუქვაძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| გოჩა მგელაძე | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| თემურ კახიძე | - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| დემეტრი ჭეიშვილი | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ირაკლი პატარიძე | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| ნატალია ძიძიგური | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე; |
| ნერიმან ცინცაძე | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| რაულ თავართქილაძე | - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე; |

- არჩილ მამულაძე - საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ანზორ დევაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე;
- დავით მახარაძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე;
- მირდატ ქამადაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
- ნოდარ დუმბაძე - საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
- ელგუჯა ანდრიაძე - საკრებულოს წევრი;
- თამაზ დევაძე - საკრებულოს წევრი;
- ირაკლი თოფურიძე - საკრებულოს წევრი;
- გელა დეკანაძე - საკრებულოს წევრი;
- მუხამედ ართმელაძე - საკრებულოს წევრი.

არ ესწრებოდნენ:

- ლაშა სირაბიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
- ზურაბ ნაკაიძე - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
- ნატალია ზოიძე - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;
- ომარ მახარაძე - საკრებულოს წევრი;
- ლევან ანთაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი - ჯაბა ტულუში;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;
- სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის წარმომადგენელი - ნინო ჩხაიძე;
- საზოგადოება „ბათომის“ ხელმძღვანელი - ნინო ინაიშვილი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;
- იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;
- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;
- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;
- მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე.
- მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თეზიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას, საქართველოს ეროვნული დღესასწაული - საქართველოს დამოუკიდებლობის 102 წლის იუბილე მიულოცა და წარმატებები უსურვა. ასევე აღნიშნა, საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი 5 სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ და მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა - დიმიტრი ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე მესამე სექტორის წარმომადგენლებს ჰქონდათ კონკრეტული კითხვები დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით. ვერ მოხერხდა განხილვა ამ საკითხის, არ მიეცათ საშუალება მათი პოზიციის დფიქსირებისა, ამდენად წამოაყენა წინადადება - საკითხი, ღრმად შესწავლის და განხილვის მიზნით, ამოღებულ იქნეს დღის წესრიგიდან.

საკრებულოს წევრმა - მირდატ ქამადაძემ მიულოცა დამოუკიდებლობის დღე და აღნიშნა, რომ უერთდება დიმიტრი ჭეიშვილის ინიციატივას, საკითხი უნდა იქნეს ამოღებული, რადგან როგორც ცნობილია აჭარის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 512

ათას 109 ლარი ბათუმის ბულვარის კონვერსიისთვის და გეგმის შემუშავება მიმდინარეობს. სულ მცირე, გეგმის დასრულებამდე წარმოდგენილი საკითხი უნდა გადაიდოს. ასევე აღნიშნა საკითხის კენჭისყრამდე განხილვისას არგუმენტების წარმოდგენის თაობაზე, თუ რატომ უჭერენ მხარს.

საკრებულოს წევრმა - არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ უერთდება საკითხის ამოღებას, რადგან განკარგულებაში აღნიშნულია დავალიანება 48 000 ლარამდე, ამდენად დავალიანების მქონე კომპანიას არ უნდა დუჭირონ მხარი და საკითხი შესწავლილი უნდა იქნეს საფუძვლიანად.

საკრებულოს წევრმა - მუხამედ ართმელაძემ აღნიშნა, რომ ობიექტი, რომელიც დღეს არსებობს საპრობლემოა, სასამართლო პროცესებმაც შეიძლება შეუშალოს ხელი.

საკრებულოს წევრმა - ნატალია ძიძიგურმა მიმართა ოპოზიციაში მყოფ კოლეგებს, რომ კომისიის სხდომებზე სერიოზული და სიღრმისეული განხილვა იყო წარმოდგენილი საკითხის ირგვლივ, მაგრამ სამწუხაროდ მაინც ბოიკოტის რეჟიმში ხართ მუდმივად. ასეთი საკითხების განხილვა პირველ რიგში მოითხოვს სიღრმისეულ შესწავლას და არამგონია რომელიმე კომპანია უპირატესობაში უნდა დავაყენოთ. ასევე გულდასაწყვეტია ის, რომ უკვე აშენებულ შენობაზეა საუბარი, მიმდინარეობს ინვესტიციების ხარჯვა აღნიშნულ ობიექტთან დაკავშირებით და ახლა ამტკიცებს საკრებულო. ამდენად ის ამ საკითხს არ უჭერს მხარს.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგიდან მე-2 საკითხის ამოღება დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 20

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 5 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, გ. დეკანაძე, ა. მამულაძე, თ. კახიძე)

წინააღმდეგი - 14

არ მიიღო მონაწილეობა - 1 (ი. თოფურბიძე)

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, გორგილაძის ქ.N88-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ამბასადორი ბათუმი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შპს „უტევანი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის და სანიაღვრე სისტემის გამოყენებისათვის საზღაურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის №6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 20

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 5 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე,

გ. დეკანაძე, ა. მამულაძე, თ. კახიძე)

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

სხდომის თავმჯდომრემ საკრებულოს წევრებს აცნობა საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვების ბათუმის ეკონომიკაზე და ბიუჯეტზე გავლენისა და ბიუჯეტში აუცილებელი ცვლილებების შეტანის შესახებ და აღნიშნა 14.00 საათზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საბიუჯეტო ცვლილებების წინასწარი განხილვისა და საკრებულოს წევრების ბიუჯეტის განხილვაზე მიწვევის თაობაზე

საკრებულოს წევრმა - არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ ფრაქციის მიერ შემოტანილი ინიციატივები დროზე იქნეს განხილული, რადგან კიდევ აქვთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივა. მან გულისტკივილით აღნიშნა, რომ მის მიერ ორ წელიწადნახევრის განმავლობაში წარმოდგენილი საკითხი ეხება ქალაქის განვითარებას, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას. ის ნაკლებად აკეთებს სხვა განცხადებებს, არცერთი არ იქნა დაკმაყოფილებული. კიდევ ერთხელ დამატებით წარმოდგენს გაკეთებული განცხადებების ჩამონათვალს. ასევე აღნიშნა, რომ ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე 21 ნომერში, ცხრასართულიან შენობაში, არ მუშაობს ლიფტი. წელიწადზე მეტი დრო გავიდა მოსახლეობა ასეთ მდგომარეობაშია. ასევე ყოფილი ენგელსის ქუჩის ბოლოში, მე-20 სკოლის გასწვრივ, ელიტარული სკოლა „გორდა“-ს მიმდებარე ტერიტორიის ერთ მონაკვეთში შეუძებელია პატარა ბავშვების გადაყვანა და გაუსაძლისი მდგომარეობაა იქ მცხოვრები მოსახლეობისათვის.

სხდომის თავმჯდომრემ - სულიკო თებიძემ მიმართა ვიცე-მერს - ჯაბა ტულუშს, რომ რამოდენიმეჯერ დაისვა აღნიშნული საკითხები. ასევე მიმართა კოლეგას ჩამონათვალის მომზადებისა და კიდევ ერთხელ შესასრულებლად მიწოდების თაობაზე.

საკრებულოს წევრმა - გელა დეკნაძემ აღნიშნა, რომ ბათუმის ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა რამოდენიმე მიწისქვეშა კონტეინერის დასამონტაჟებლად, რომელიც დამონტაჟდა. ის დღეს არ საუბრობს მერის გასაგონად, არამედ ჟურნალისტების გასაგონად. მან აჩვენა გადაღებული სურათები ჟურნალისტებს მოსახლეობის ინფორმირებისათვის, რომ ფატალურად არ დასრულდეს მათი სიცოცხლე. ასევე კორონა ვირუსის პერიოდში სანდასუფთავებამ კიდევ ერთხელ გამოცხადა ტენდერი და დამატებით 8 მიწისქვეშა კონტეინერს ამონტაჟებს ბათუმში. ის თანხა, რაც 8 კონტეინერის დამონტაჟებისთვისაა გამოყოფილი, საკმარისი იქნებოდა ადრე გაკეთებული კონტეინერების რეაბილიტაციისთვის.

საკრებულოს წევრი - მირდატ ქამადაძე თვლის, რომ ამ დარბაზში აზრი არ აქვს საუბარს, რადგან დღევანდელმა დღემ აჩვენა, რომ ქართული ოცნება პოლიტიკურ პასუხისმგებლობას თავს არიდებს. მიუხედავად დაგვიანებისა აქ ვისხდეთ და ვწყვეტდეთ საკითხს იმაზე თუ როგორ გამოვიდეს კრიზისიდან ქალაქი და დღეს უფრო მნიშვნელოვანი საკითხი ყოფილა ბუღვარის გასხვისება, და ამას დაუჭერენ მხარს. ჩვენ უნდა ვმსჯელობდეთ ხალხზე, ვინც უმუშევრად და ლუკმა-პურის გარეშე დატოვეს, სავალუტო ჯიხურის თანამშრომლებს, რომლებსაც გაუგებარი მიზეზით დაუკეტეს სამსახური, პენსიონრებს, ვერაფერს ვერ ვეუბნებით, როცა წამლებია გაძვირებული. კრიზისულ მდგომარეობაში უმრავლესობა ბუღვარის გასხვისებაზე მსჯელობს. ქართული ოცნება სულ მალე წარმოგენილ საკითხს მხარს დაუჭერს.

საკრებულოს წევრმა - ბესარიონ გოგოტიშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქში დარჩენილი ჯიხურები უფუნქციოდაა. მან მიმართა გელა დეკანაძეს, რომ დაზინების შემთხვევაში უნდა მიმართოთ მერიის სამსახურებს და არ უნდა ელოდოთ საკრებულოს სხდომას. ადამიანებისთვის თუ სახიფათოა და გემინიათ სასწრაფოდ უნდა მიგემართათ რეაგირებისთვის.

საკრებულოს წევრმა - დავით მახარაძემ აღნიშნა, რომ ბათუმში არის სახლები და ქუჩები ნომერაციის გარეშე, რაც საკმაოდ რთულია იდენტიფიცირებისათვის. ტურისტული სეზონია და მათთვის რთული, პრობლემური სიტუაცია იქმნება. ის გამოეხმაურა ქვეყნაში არსებულ კოვიდ 19-ის სიტუაციას და აღნიშნა, რომ 22 მაისს დამთავრდა საგანგებო მდგომარეობა და მეტ-ნაკლებად კარგი მდგომარეობაა. ჯანდაცვის სამინისტროს, ეპიდემიოლოგებისა და ხელისუფლების ძალისხმევით მოხერხდა ყველაზე მნიშვნელოვანის - ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნება. უბედურებაა, რაც მეზობელ ქვეყნებში ხდება. მან მადლობა გადაუხადა ხელისუფლებას, პოლიციას, ექიმებს და მოსახლეობას.

საკრებულოს წევრმა - რაულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ კოვიდ 19-თან ბრძოლა ჩვენმა ქვეყანამ წარმატებით გაიარა, თუმცა ადამიანები დარჩნენ უმუშევარი, ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ უმუშევარი ადამიანები დასაქმდნენ. ასევე აღნიშნა, რომ ორგანიზაციების მიერ ჩატარდა ეკოლოგიური გამოკითხვა, სადაც აღნიშნულია, რომ ეკოლოგიური დაბინძურებაა, შესაბამისი ზომები უნდა გატარდეს მერიის სამსახურების მიერ.

საკრებულოს წევრმა - ნოდარ დუმბაძემ აღნიშნა, რომ კოვიდ 19-თან დაკავშირებით ბევრი რამ გააკეთეს ექიმებმა, მათ შორის ლევან ანთაძე თვის განმავლობაში სამსახურში იყო და არ გასულა სახლში. პაციენტებს დახმრებას უწევდა და მას მადლობა გადაუხადა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ს მ ი ნ ე ს : საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, გორგილამის ქ.N88-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელი მიესალმა და აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (N22314/25; 22.08.2019წ.) მომართა გურამ გეწაძემ, რომლითაც ითხოვს მის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, გორგილაძის ქ. N88-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის (საკადასტრო კოდი: 05.23.04.038.01.527) მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემას, საზოგადოებრივი ობიექტის (რესტორანი) საქმიანობისათვის გამოყენების მიზნით. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება უსასყიდლოდ. ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს გურამ გეწაძის განცხადება და მის საკუთრებაში არსებულ მოქმედ რესტორანთან ფუნქციურად დაკავშირებული სივრცის გამოყენების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, 05 წლის ვადით, იჯარით სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. N88-ში მდებარე 27,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.23.04.628; მიწის საპრივატიზებო ღირებულება 15120,0 ლარი; 5%-756 ლარი; აუდიტის დასკვნა №ბთ/მ-2; 03.02.2020წ.). მიწის ნაკვეთის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 4000,0 ლარის ოდენობით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 20

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ამბასადორი ბათუმი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის შესახებ 2005 წლის 29 აგვისტოს ხელშეკრულებაში (რეესტრის №1-5683) ცვლილებების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მერიასა და ანჟელა კიკვაძეს შორის 2011 წლის 29 ივლისს გაფორმებული შეთანხმების თანახმად ანჟელა კიკვაძე აღნაგობის უფლებით სარგებლობდა ქ.ბათუმში, ზღვისპირა პარკში მდებარე 117,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით (ს/კ 05.21.02.037).

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე რეგისტრირებული აღნაგობის უფლებების შეწყვეტის თანმდევი პროცედურების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 08 იანვრის N6 ბრძანებით შეწყვეტილად ჩაითვალა ქ. ბათუმში ზღვისპირა პარკში, პოლიკლინიკის მიმდებარე ტერიტორიაზე 117 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.01.02.003, დაზუსტებული ს/კ 05.21.02.037) რეგისტრირებული ანჟელა კიკვაძის აღნაგობის უფლება.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 05 ივნისის N492 ბრძანებით სსიპ „ბათუმის ბულვარს“ სარგებლობაში გადაეცა ბულვარის ტერიტორიაზე განთავსებული, საზოგადოებრივი კვების ობიექტების მფლობელების სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები და მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობები. მათ შორის, ანჟელა კიკვაძის სარგებლობაში არსებული, ქ.ბათუმში, ზღვისპირა პარკში მდებარე 117,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 05.21.02.037), მასზე განთავსებული 199,76 კვ.მ. შენობა-ნაგებობა და ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე მდებარე, ასევე მის სარგებლობაში არსებული 224,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.21.02.012). შემდგომში, ანჟელა კიკვაძესა და სსიპ „ბათუმის ბულვარს“ შორის 2017 წლის 26 ოქტომბერს გაფორმდა სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების იჯარის შესახებ ხელშეკრულება. ანჟელა კიკვაძესა და შპს „ამბასადორი ბათუმი“-ს შორის 2018 წლის 30 მარტს გაფორმებული, უფლების/მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების თანახმად ქალაქ ბათუმის მერიასთან ურთიერთობაში შპს „ამბასადორი ბათუმი“ წარმოადგენს „უფლების დათმობის“ (ანჟელა კიკვაძე) უფლებამონაცვლეს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ „ბათუმის ბულვარში“ შემოვიდა შპს „ამბასადორი ბათუმი“-ს 2020 წლის 04 მარტის განცხადება (N4789/25), ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და უზუფრუქტის ფორმით სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს სარგებლობაში არსებული, ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე N05.21.02.041 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 341,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (გაერთიანებული: 05.21.02.037 – 117,00 კვ.მ. და 05.21.02.012 – 224,00 კვ.მ.; 199,76 კვ.მ. შენობა-ნაგებობა) სარგებლობის ვადის დამატებით 15 წლით განსაზღვრის შესახებ. შემოსულ განცხადებასთან დაკავშირებით სსიპ „ბათუმის ბულვარი“ აღნიშნავს, რომ არ არის წინააღმდეგი განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები თუ შესაკუთრე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიიღებს გადაწყვეტილებას დაიბრუნოს ქონება, გაუგრძელოს მოქმედ მოიჯარეს (უფლებამონაცვლე შპს „ამბასადორი ბათუმი“) ხელშეკრულების ვადა მოიჯარის მიერ აღწერილი და დასაბუთებული პირობების გათვალისწინებით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2020 წლის 22 აპრილს კვლავ შემოვიდა შპს „ამბასადორი ბათუმი“-ს განცხადება (N6921/25), რომლითაც იგი გამოხატავს მზადყოფნას, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აღნიშნული ობიექტი პირდაპირი განკარგვის წესით, 15 წლის ვადით გადაეცეს შპს „ამბასადორი ბათუმი“-ს სარგებლობაში. ობიექტზე განახორციელებს არანაკლებ 700000,0 (შვიდასი ათასი) აშშ დოლარის ინვესტიციას და სარგებლობის ვადის დასრულების შემდეგ არ მოითხოვს სარგებლობის საგნის გაუმჯობესების მიზნით გაწეულ ხარჯებს. ამასთან, იტოვებს უფლებას ვადის დასრულებისას მოითხოვოს სარგებლობის ხელშეკრულების გაგრძელება არანაკლებ 7 წლის ვადით, მოთხოვნის დროისათვის არსებული საიჯარო ღირებულების (სარგებლობის საფასურის) გათვალისწინებით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 27 აპრილის N338 ბრძანებით შეტანილი იქნა ცვლილება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 05 ივნისის N492 ბრძანებაში და ბრძანებიდან ამოღებული იქნას „1.4.“ და „1.12.“ პუნქტები, ზემოთაღნიშნული უძრავი ქონების სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სათვის უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემის ნაწილში.

უძრავი ქონების საპრივატიზებო ღირებულების შესახებ აუდიტის დასკვნიდან (Nბთ/მ-66; 10.04.2020წ.) გამომდინარე (მიწის - 409 200,0 ლრ; 5% = 20 460,0 ლარი; შენობის - 589 292,0 ლრ.; 5% = 29 464,6 ლრ; სულ 5% = 49 924,60 ლრ.) უძრავი ქონების წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 50 000,0 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკში მდებარე 341,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 199,76 კვ.მ. საერთო ფართის შენობა-

ნაგებობის (საკადასტრო კოდი 05.21.02.041) შპს „ამბასადორი ბათუმი“-სათვის (ს.კ. 445515719) პირდაპირი განკარგვის წესით უზუფრუქტის ფორმით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემა შემდეგი პირობებით:

ა) შპს „ამბასადორი ბათუმი“ არ მოითხოვს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე რეგისტრირებული აღნაგობის უფლებების შეწყვეტის თანმდევი პროცედურების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 08 იანვრის №6 ბრძანებიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 239-ე მუხლის თანახმად, აღნაგობის უფლების მქონეს (ანჟელა კიკვაძე - უფლებამონაცვლე შპს „ამბასადორი ბათუმი“) მიერ მიწის ნაკვეთზე აღმართული ნაგებობის ღირებულების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ანაზღაურებას;

ბ) შპს „ამბასადორი ბათუმი“ ანაზღაურებს ქალაქ ბათუმში, ზღვისპირა პარკში რეგისტრირებული 341,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და 199,76 კვ.მ. საერთო ფართის შენობა-ნაგებობის სარგებლობიდან (აღნაგობის უფლების მქონე ანჟელა კიკვაძე - უფლებამონაცვლე შპს „ამბასადორი ბათუმი“) გამომდინარე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე არსებულ დავალიანებას 48 596 (ორმოცდარვა ათას ხუთას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით, არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრისა;

გ) უზუფრუქტის ფორმით გადაცემულ უძრავ ქონებაზე განახორციელებს არანაკლებ 700 000,0 (შვიდასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ინვესტიციას. უზუფრუქტუარი არ მოითხოვს სარგებლობის საგნის გაუმჯობესების მიზნით მის მიერ გაწეული ხარჯების ან ამ ქონებასთან დაკავშირებით გაწეულ სხვა ნებისმიერი ხარჯის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ანაზღაურებას.

უძრავი ქონების სარგებლობის ვადა განისაზღვროს 15 წლის ვადით.

უზუფრუქტის ვადის დასრულებისას უზუფრუქტუარს მიეცეს სარგებლობის ხელშეკრულების არანაკლებ 7 (შვიდი) წლის ვადით გაგრძელების მოთხოვნის უფლება, მოთხოვნის დროისათვის არსებული სარგებლობის საფასურის გათვალისწინებით.

უძრავი ქონების წლიური სარგებლობის საზღაური განისაზღვროს 50000,00 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა - არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ კომპანიას აქვს 48000 ლარი დავალიანება, ახლა უფლებამონაცვლე კომპანია ღებულობს თავის თავზე, ჯერ მის მიმართ რატომ არ აღიძრა დავები იმ დავალიანებაზე და მერე კომპანიამ რომ აიღო თავის თავზე სამართლებრივ ჩარჩოში არ ჯდება, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ მიმდინარეობს სასამართლო დავა, შეტანილია სარჩელი, ვალდებულება დღეს აიღო შპს „ამბასადორ ბათუმი“-მა. თავიდანვე არსებობდა

ფიზიკური პირი ანუელა კიკვაძე, რომელსაც ჰქონდა აღნაგობის უფლებით გადაცემული ქონება. აღნაგობის შეწყვეტის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო, რომ შენობა-ნაგებობის 2/3 უნდა აენაზღაურებინა მერიას. ეს ვალეზულება გააჩნია დღემდე. ამასთანავე აღნაგობის შეწყვეტის შემდგომ აღნიშნულ შენობა-ნაგებობას თვითნებურად სარგებლობდა. კომპანიამ გამოთქვა სურვილი, რომ მზადაა გადაიხადოს ის რაც თვითნებურად სარგებლობდა აღნაგობიდან დღემდე, მერიის მიერ რაც იყო ასანაზღაურებელი არ მოითხოვს არცერთ ნაწილში. სამართლებრივად შეფასდა რაც დღეს არის მოცემული ქონება. დღეის მგომარეობით საკმაოდ დიდ თანხას წარმოადგენს წლიური გადასახადი, რომელიც აისახება ბიუჯეტზე.

საკრებულოს წევრმა - გელა დეკანაძემ დასვა შეკითხვა, რომ იქ იყო ძველი პოლიკლინიკა, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დღეს განიხილება ყოფილი კაფე-ორანჟერიას ტერიტორია. გელა დეკანაძემ აღნიშნა, რომ კომპანიამ, რომელმაც თვითნებურად დაანგრია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, მოიტყუა, რომ იქ არ აშენებს მაღალსართულიან სახლს, მერია კომპანიის მხარეს იჭერდა ყოველთვის. სამომავლოდ მერია ასეთ კომპანიას აბარებს ბათუმის ბულვარის ნაწილს.

საკრებულოს წევრმა - დიმიტრი ჭეიშვილმა დასვა შეკითხვა, თუ რა უნდა აშენდეს და რა ინვესტირება ხდება, რა დანიშნულებას შეიძენს ახალაშენებული ობიექტი, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი კაფე-რესტორნის ფუნქციონირებით იქნება დაკავებული.

საკრებულოს წევრმა - რულ თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ორსართულიან შენობაზე შუშის რკინის კონსტრუქციით, ასევე სხვა რამ ხომ არ არის დაგეგმილი? მომხსენებელმა განმარტა, რომ მშენებლობის რეგულაციებს განსაზღვრავს შესაბამისი უწყება, გაცემულია ნებართვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ, 700 000 (შვიდასი ათასი) ამერიკული დოლარის ეკვივალენტი ლარის ინვესტიციას ახორციელებს.

საკრებულოს წევრმა - მირდატ ქამადაძემ აღნიშნა, რომ პასუხისმგებელიანი მერი ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე არ ესწრება, რადგან პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, მიმართა მომხსენებელს, რომ ძირითადი აქცენტია 700 ათასის ინვესტიცია, ბუნებრივია ისიც რომ მეტი არგუმენტი არ აქვთ, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 512 109 (ხუთასთორმეტი ათას ასცხრა) ლარი იმისათვის, რომ

მზადდება ბულვარის კონსერვაციის და გენერალური გეგმის შემუშავება. რატომ არ ელოდება მერია ამას. ამის შემდგომ იქნას მიღებული გადაწყვეტილება. მომხსენებელ-მა განმარტა, რომ ქონების დაზუსტება და განკარგვა ხდება. ასეთი მშენებლობა ბულვარის ტერიტორიაზე რამოდენიმეა.

საკრებულოს წევრმა - ნატალია ძიძიგურმა განაცხადა რომ ნაციონალური მოძრაობა ბულვარის ბედზე რომ დარდობს ეს არის პარადოქსი. წინა ხელისუფლების დროს ბულვარის ტერიტორია სასტუმროებისთვის აქვთ გადაცემული.

საკრებულოს წევრმა - მუხამედ ართმელაძემ განაცხადა, რომ ასეთი მიწის ნაკვეთები, რომლებიც ხანგრძლივი ხელშეკრულებით არის გადაცემული ეს ერთი არ არის, ძალიან ბევრია. ბულვარის განვითარების გეგმაში ეს ობიექტები როგორ იქნება გათვალისწინებული და თუ არის შეთანხმებული ბულვარის ადმინისტრაციაზე და ტექნიკურ დავალებაში თუ იქნება არსებული პროექტი გათვალისწინებული, რაზედაც მომხსენებმა განმარტა, რომ პროექტი შეთანხმებულია.

საკრებულოს წევრმა - მირდატ ქამადაძემ განცხადება გააკეთა ფრაქციის სახელით, რომ ბულვარის გეგმას უნდა დაველოდოთ და შემდეგ გადაწყდეს ასეთი საკითხები. ამ საკითხზე მხარის დაჭერის შემდგომ ხვალ და ზეგ დაგისვამენ კითხვებს ბათუმელები. კოლეგებს მიმართა, რომ არ დაუჭირონ მხარი წარმოგენილ საკითხს.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის წარმომადგენელმა - ნინო ჩხაიძემ აღნიშნა, რომ მიეცათ საშუალება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დააფიქსიროს მოსაზრება, თუმცა გუშინ დარღვევას ჰქონდა ადგილი პროცედურულ საკითხთან მიმართებაში, რომ მოქალაქეებს არ მიეცათ საშუალება არც კომისიის, არც ბიუროს სხდომაზე მოსაზრებების დაფიქსირებისა. დღეს მოქალაქეების პოზიციას გააჟღერებს, რომ ბულვარის განვითარების გეგმა სანამ არ იქნება ამ თემაზე მსჯელობა საკრებულომ უნდა შეწყვიტოს. ბულვარი არის კულტურული მემკვირეობის ძეგლი, რომელიც საზოგადოებისთვის არის მნიშვნელოვანი რეკრიაციული სივრცე და ასევე არის მაღალი ინტერესი. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ყველაფერზე პასუხი და ეს თემა უნდა იყოს საზოგადოებისთვის მაქსიმალურად ამოწურული.

კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს წევრმა - ნინო ინაიშვილმა აღნიშნა, რომ ამბასადორს დაუმტკიცეს 4 სართულიანის მშენებლობის პროექტი, რომელიც იქნებოდა საზოგადოებრივი დანიშნულების. ამის შემდეგ შემოვიდა პროექტი 15 სართულიანი სასტუმროს

მშენებლობისა, თავისი კაზინოებით და სხვ. ეს არის მნიშვნელოვანი ტერიტორია ბულვარის შუაგული და რატომ ყიდის ასეთ ტერიტორიას.

საკრებულოს წევრმა - გოჩა მგელაძემ აღნიშნა, ტყუილია ის, რომ რეგლამენტი დაირღვა, საკრებულოს კომისიებისა და ბიუროს სხდომა კანონით და რეგლამენტით დადგენილი პროცედურების შესაბამისად ჩატარდა და ტყუილია ის, რომ არ მიეცათ საშუალება კომისიებზე აზრის გამოხატვის, საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია ჩატარდა 12.00 საათზე, საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიაც მის მიერ ჩატარდა და არავინ არ იყო მოსული აზრის გამოსახატავად.

საკრებულოს წევრმა - თემურ კახიძემ აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე ხდება წრმოდგენილი საკითხების სამართლებრივად განხილვა.

საკრებულოს წევრი - მირდატ ქამადაძე დაინტერესდა რომელიმეს თუ ჰქონდა პროექტი ნანახი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ უზუფრუქტის ფორმით გადაცემულ უძრავ ქონებაზე განახორციელებს არანაკლებ 700 000,0 (შვიდასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ინვესტიციას.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

- კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 18
- სხდომას არ ესწრებოდა: - 2 (ი. თოფურიძე, ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11

წინააღმდეგი - 6 (დ. ჭეიშვილი, მ. ართმელაძე
ნ. ძიმიგური, ა. მამულაძე,
გ. დეკანაძე, მ. ქამადაძე)

არ მიიღო მონაწილეობა -1 (თ. კახიძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოიხმინეს:

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შპს „უტევანი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (N1508/25; 24.01.2020წ.) მომართა შპს „უტევანმა“. ის ქალაქ ბათუმის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით (30.06.2010წ.) აღნაგობის უფლებით, 29 წლის ვადით სარგებლობს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქ. N6-ში მდებარე 2551,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთით (ს.კ. 05.30.37.013) და ითხოვს მის მომიჯნავედ მდებარე მიწის ნაკვეთის იჯარით სარგებლობაში გადაცემას, რომელიც მათ მიერ კეთილმოეწყობა და მოემსახურება როგორც ადგილობრივ მოსახლეობას ასევე ტურისტებს.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება უსასყიდლოდ.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს შპს „უტევანი“-ს განცხადება და აღნაგობის უფლებით მის სარგებლობაში და მის საკუთრებაში არსებულ, მოქმედ რესტორან „რივიერა“-სთან ფუნქციურად დაკავშირებული სივრცის მოწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით, „თვითმმართველ ქალაქ ბათუმის საკუთრებაში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი

აღნაგობის უღებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მერიასა და შპს „უტევენს“ შორის დადებული, 2010 წლის 30 ივნისის ხელშეკრულების მოქმედების - 2039 წლის 30 ივნისამდე ვადით იჯარით სარგებლობაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩა N6, ქალაქი ბათუმი, გამზირი თამარ მეფე, რესტორან „რივიერა“-ს მიმდებარედ არსებული 478,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.30.37.033; მიწის საპრივატიზებო ღირებულება 286 800,0 ლარი; 5%-14 340,0 ლარი; აუდიტის დასკვნა №ბთ/მ-45; 23.03.2020წ.). მიწის ნაკვეთის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 15 000,00 ლარის ოდენობით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 18
სხდომას არ ესწრებოდა: - 2 (ი. პატარიძე, ი. თოფურიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანას. ქალაქ ბათუმში, მიწის ნაკვეთის საკადასტრო ერთეულებზე: N05.21.01.031; N05.21.01.030; N05.21.01.029; N05.21.01.018; N05.21.20.079; N05.21.20.070; N05.21.20.071; N05.21.20.084; N05.21.20.082; N05.21.21.015; N05.21.20.053; N05.21.20.076; N05.21.20.056; N05.21.20.087 2019 წლის 22 აგვისტოს

დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმა შპს „ბათუმი რივიერა“-ს განცხადების საფუძველზე. დაგეგმილი ცვლილება ეხება გენგეგმით დადგენილ ფაზა 1,2,3-ით განსაზღვრულ T1; T2, T3 შენობების ფუნქციის ცვლილებას., დასაგეგმარებელი მოცულობის ნაწილში, თავდაპირველად განსაზღვრული საცხოვრებელი ფუნქციის ჩანაცვლებას სასტუმროს ფუნქციით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 13
სხდომას არ ესწრებოდა: - 7 (ი. თოფურიძე, მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, გ. დეკანაძე, რ. თავართქილაძე, ა. დევაძე, ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (თ. კახიძე, დ. მახარაძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის და სანიაღვრე სისტემის გამოყენებისათვის საზღაურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის №6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიზანია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის და სანიაღვრე სისტემის გამოყენებისათვის საზღაურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის №6 განკარგულებაში ცვლილების შეტანა. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დაწესდეს საზღაური მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სარგებლობისათვის. კერძოდ, საზღაური განისაზღვროს შემდეგი ოდენობით: მიწისქვეშა I კლასის ხაზობრივი ნაგებობის (ხაზობრივი ნაგებობა მოიცავს საკომუნიკაციო ჭასაც) განთავსებისათვის - ერთ გრძივ მეტრზე 1 (ერთი) ლარი; მიწისზედა I კლასის ხაზობრივი ნაგებობის განთავსებისათვის - ერთ გრძივ მეტრზე 0,40 (ორმოცი თეთრი) ლარი.

აზრი გამოთქვას: - საკითხთან მიმართებაში აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 19
სხდომას არ ესწრებოდა: - 1 (ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის მდივანი

მზევინარ წულუკიძე